



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 23  
30/03/2018

23-04-4-201803301649



**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე  
ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის  
ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“  
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით  
დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,  
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიზნობრივი პროგრამა - ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა**

2018 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

**1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:**

**„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“**

**2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღები:**

„15 აპრილი“ 2018წ.

„15 ივნისი“ 2018წ.

**3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი - 6500 (ექვსიათასხუთასი ლარი)**

**4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები - ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი –6500 (ექვსიათასხუთასი ლარი)**

**5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

**6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი**

1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

2) წერილობითი მოთხოვნა

3) მიღება-ჩაბარების აქტი

4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა პირუტყვის საერთო რაოდენობა დაახლოებით 7500-მდეა. აქედან დაახლოებით 2500 სული არის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ ვაქცინაციას პასტერელოზსა და ემკარზე. როგორც ცნობილია ამ დაავადებების ვაქცინაცია სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება, რადგანაც არ არის ზოონოზური დაავადებები, მაგრამ ამ დაავადებებით მიღებული ეკონომიკური ზარალი დიდია და მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ფერმერს. პასტერელოზითა და ემკარით ავადდება ძირითადად ახალგაზრდა, მაღალპროდუქტიული და საუკეთესო შეხორცების მქონე მსხვილფეხა პირუტყვი. დაავადების რისკი დიდია იმ ცხოველებში, რომლებიც გადიან საზაფხულო სამოვრებზე, სადაც ამ დაავადებათა კერებია. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ფერმერთა არცოდნის და გამოუცდელობის გამო დაავადების კერები გაჩნდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში. რის შედეგადაც ყოველწლიურად იღუპება ახალგაზრდა, მაღალპროდუქტიული ცხოველები. ფერმერები არსებული სიტუაციიდან გამომდინარე დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით ცდილობენ ადრეგაზაფხულზე გაყიდონ ახალმიღებული მოზარდი. ამ ტენდენციამ კი გამოიწვია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველთა საერთო რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. ფერმერისთვის უმჯობესია გამოზარდოს მსხვილფეხა პირუტყვის მოზარდი და ისე გაყიდოს ამით გაიზრდება ფერმერის მოგება. მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობით კი გაიზრდება ცხოველების საერთო რაოდენობა და ასევე გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტებიც.

**8. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული მ/ფ პირუტყვის ვაქცინაცია იმ დაავადებებზე რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებით არ ხორციელდება. ეს დაავადებებია პასტერელოზი და ემკარი. ამ დაავადებებით მიყენებული ეკონომიკური ზარალი კი ძალიან დიდია.	<ul style="list-style-type: none"> <li>- მეცხოველეობის განვითარება</li> <li>- ცხოველთა რაოდენობის მატებით. ცხოველთა ჯანსაღი</li> <li>- ნამატის მიღება. გაიზრდება მეცხოველეობით მიღებული პროდუქტების რაოდენობა. კეთილსამედო კერებიდან მივიღებთ კეთილსამედო პროდუქტს.</li> </ul>

**9. პროგრამის ბიუჯეტი**

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	6500			6500
	დამატებითი	X	X	X	X	X
	<b>სულ ჯამი</b>		6500			6500

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	ღონისძიებების ჩამონათვალი	შესრულების დრო	პასუხისმგებელი	თანხა	შენიშვნა
1	პასტერელოზის და ემკარის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია.	აპრილი-ივნისი	ადმინისტრაციული სამსახური	6500	

**10. საანგარიშო პერიოდში პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:**

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	პასტერელოზის და ემკარის (ემფიზემატოზური კარბუნკულის) საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია.	II კვარტალი 2018 წელი	ელექტრონული ტენდერი	6500 ლარი	